

# კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის სახელმძღვანელო



|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| სარჩევი .....                                                               | 2  |
| 1. შესავალი.....                                                            | 3  |
| 1.1 დასაბუთება.....                                                         | 3  |
| 1.2 კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის განმარტება და მიზნები...    | 3  |
| 1.3 COVID-19 შემთხვევების კლინიკური აუდიტის მიზანი.....                     | 5  |
| 2. კლინიკური აუდიტის განხორციელების ეტაპები.....                            | 6  |
| ეტაპი 1: კლინიკური აუდიტის დაგეგმვა.....                                    | 6  |
| ეტაპი 2: კლინიკური აუდიტისთვის შემთხვევათა შერჩევის და კოდირების წესი ..... | 7  |
| კლინიკური აუდიტისთვის შემთხვევათა შერჩევის და კოდირების წესი .....          | 7  |
| კლინიკური აუდიტის ჩატარება .....                                            | 11 |
| ეტაპი 3: კლინიკური აუდიტის მონაცემთა ანალიზი და ანგარიშგება.....            | 12 |
| დანართები: .....                                                            | 14 |
| დანართი 1: კლინიკური აუდიტის ფორმა .....                                    | 14 |
| დანართი 2: კონკრეტული შემთხვევის აუდიტის შედეგების შეჯამების ფორმა .....    | 27 |

# 1. შესავალი

## 1.1 დასაბუთება

ჯანდაცვის სისტემა მრავალი ნაკლოვანებით ხასიათდება, რაც ძირითადად ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაკლოვანებები კი პირდაპირ აისახება მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და საბოლოო გამოსავალზე.

სამედიცინო მომსახურების ხარის უზრუნველყოფა, მართვა და უწყვეტი გაუმჯობესება მრავალმხრივი და კომპლექსური პროცესია. სამედიცინო მომსახურება მუდმივ სრულყოფას, დახვეწას და განვითარებას საჭიროებს.

სამედიცინო ბაზარზე არსებული კონკურენცია, სამედიცინო მომსახურების დამფინანსებელთა და პაციენტთა მზარდი მოთხოვნები, სამედიცინო დაწესებულებების წინაშე აყენებს მომსახურების ხარისხის სისტემური და უწყვეტი გაუმჯობესების ამონაგას.

საქართველოში სამედიცინო მომსახურების, კლინიკური სერვისების, ხარისხისა და სტანდარტების თავსებადობა სამედიცინო მომსახურების დასავლურ სტანდარტებთან მინიმალურია. სამედიცინო სერვისების არსებული ხარისხი ჯერ კიდევ შორსაა სასურველისგან. ამდენად, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა მხოლოდ შესაძლებელია სტანდარტებთან შესაბამისი სერვისების მიწოდებით. ეს უკანასკნელი, კი თავისთავად საჭიროებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის სისტემატიურად შეფასებას, შესწავლას, ნაკლოვანებების აღმოჩენას და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას.

## 1.2 კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის განმარტება და მიზნები

კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი (შემდგომში კლინიკური აუდიტი) არის მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამედიცინო მომსახურების, კერძოდ კი კლინიკური მართვის ხარისხის შესაფასებლად. კლინიკური აუდიტი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ თუ რამდენად ხარისხიანად იმართება კლინიკური შემთხვევები და საჭიროებს თუ არა შემდგომ გაუმჯობესებას.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების ეს მეთოდი მოიცავს პაციენტის სამედიცინო ბარათების შესწავლის საფუძველზე ისეთი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ არსებული კლინიკური პრაქტიკის ხარისხზე, მის ეფექტურობასა და ეფექტიანობაზე. კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის დროს პაციენტის სამედიცინო ჩანაწერები დარდება წინასწარ განსაზღვრულ კლინიკურ სტანდარტებს და ფასდება თუ რამდენად ხდება პრაქტიკაში შემთხვევების კლინიკური მართვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული მინიმალური სტანდარტების მიხედვით. ანუ სხვა სიტყვებით, კლინიკური აუდიტი არის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ა) რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს კლინიკური მართვის პროცესი და ბ) გამოვავლინოთ ხარვეზები.

კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი გამოიყენება სხვადასხვა კლინიკური შემთხვევებისთვის და იძლევა საშუალებას შეფასდეს რამდენად არსებული პრაქტიკა შეესაბამება შემთხვევათა კლინიკური მართვის მინიმალურ სტანდარტებს.

მიზეზები, თუ რატომ უნდა ჩატარდეს კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი მრავალია:

- კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი კლინიკური მართვის და საბოლოო გამოსავლის გაუმჯობესების საშუალებას გვაძლევს;

- რეგულარული კლინიკური აუდიტი ხელს უწყობს უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესების კულტურის ჩამოყალიბებას.
- კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალის მიერ მათი პრაქტიკის სუსტი მხარეების გამოვლენას, სამედიცინო პერსონალის ცოდნის დონის და პრაქტიკის გაუმჯობესებას და შესაბამისად სამედიცინო პერსონალის თვითკმაყოფილების დონის ამაღლებას.
- კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი არის კლინიკური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი და გაუმჯობესებული პრაქტიკის საფუძველზე ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას და ეფექტიანობას.

კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის მიზნები მრავალმხრივია. კლინიკური აუდიტის საშუალებით შესაძლებელია:

1. განვსაზღვროთ, რამდენად კლინიკური პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს (კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებს, პროტოკოლებს) და პროცედურებს;
2. იმ შემთხვევაში თუ არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, შევისწავლოთ განმაპირობებელი ხელშემშლელი ფაქტორები და შევიმუშავოთ შესატყვისი სამოქმედო გეგმა არსებული ხელშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად;
3. გამოვავლინოთ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და ხელი შევუწყოთ მათ დანერგვას.

კლინიკური აუდიტი განსხვავდება კლინიკური კვლევისგან. თუ კლინიკური აუდიტი ცდილობს შეაფასოს რამდენად ხდება არსებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ანუ რამდენად ვაკეთებთ იმას რაც უნდა გავაკეთოთ კონკრეტული შემთხვევის მართვისას, კლინიკური კვლევა ეძებს ახალ ცოდნას, ინფორმაციას, საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად და ჩამოსაყალიბებლად. სმიტმა<sup>1</sup> აღნიშნა, რომ კვლევა ეხება სწორი ქმედების აღმოჩენას, ხოლო კლინიკური აუდიტი სწავლობს სწორი ქმედების პრაქტიკაში დანერგვას და ხელს უწყობს მათ პრაქტიკაში დანერგვას.

#### ცხრილი 1: განსხვავებები კლინიკურ აუდიტსა და კლინიკურ კვლევას შორის.

| კლინიკური აუდიტი                                                                                                    | კლინიკური კვლევა                                                                           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------|
| აყალიბებს ცოდნას არსებული კლინიკური პრაქტიკის შესახებ და განსაზღვრავს კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესების საჭიროებებს | აგროვებს ცოდნას ახალი უკეთესი კლინიკური პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად                         |
| ზომავს თუ რამდენად არსებული პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს                                     | ახდენს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის ტესტირებას                                                 |
| არ იწვევს არსებული მკურნალობის სქემების ცვლილებას                                                                   | შესაძლოა ეხებოდეს სხვადასხვა მკურნალობის მეთოდების გამოყენებას და მათი შედეგების შედარებას |
| აუდიტის შედეგები ეხება მხოლოდ შესწავლილ შემთხვევებს და არ ხდება მათი განვრცობა სხვა ტიპის შემთხვევებზე              | შედეგების განვრცობა ხდება ფართო საკვლევ პოპულაციაზე                                        |

იმის დასადგენად პროექტი არის კლინიკური აუდიტი თუ კლინიკური კვლევა, მიზანშეწონილია ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს:

1. არის თუ არა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება პროექტის მიზანი?

<sup>1</sup> Smith R. Audit and research. BMJ. 1992;305(6859):905–6.

2. ითვალისწინებს თუ არა პროექტი არსებული პრაქტიკის დადგენილ სტანდარტთან შედარებას?
3. ითვალისწინებს თუ არა პროექტი მკურნალობის ან მომსახურების ცვლილებას?

თუ პირველი და მეორე კითხვის პასუხი დადებითია და მესამე კითხვის პასუხი უარყოფითი, მაშინ პროექტი ეხება კლინიკურ აუდიტს. ყველა სხვა შემთხვევაში პროექტი ეხება კლინიკურ კვლევას.


### 1.3 COVID-19 შემთხვევების კლინიკური აუდიტის მიზანი

COVID-19 შემთხვევების კლინიკური აუდიტის მიზანია, შევაფასოთ COVID-19 შემთხვევების კლინიკური მართვის ხარისხი და შევიმუშაოთ მართვის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

## 2. კლინიკური აუდიტის განხორციელების ეტაპები

კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის ეფექტური განხორციელებისთვის მიზანშეწონილია ეტაპობრივი მიდგომა (იხილეთ [სურათი 1](#)).

სურათი 1: კლინიკური აუდიტის განხორციელების ეტაპები



**პირველ ეტაპზე** მიზანშეწონილია დეტალურად დაიგეგმოს კლინიკური აუდიტის განხორციელების პროცესი, განისაზღვროს საჭირო რესურსები, ჩამოყალიბდეს კლინიკურ აუდიტთა გუნდი(ები), განისაზღვროს დავალებები, ამ დავალებათა შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და დავალებათა შესრულების დაწყებისა და დასრულების ვადები.

**მეორე ეტაპი** მოიცავს კლინიკურ აუდიტორთა გუნდის მიერ კლინიკური აუდიტის საკვლევი

მასალის (სამედიცინო ბარათების/შემთხვევათა), შერჩევას, შემთხვევათა კოდირებას, და თავად კლინიკური აუდიტის ჩატარებას.

ხოლო საბოლოო, **მესამე ეტაპზე**, წარმოებს შესწავლილი მასალის შედეგების ანალიზი და კლინიკური აუდიტის ანგარიშის მომზადება.

### ეტაპი 1: კლინიკური აუდიტის დაგეგმვა

თუ გვინდა, რომ კლინიკური აუდიტი იყოს ეფექტური და შეძლოს გამოავლინოს როგორც საუკეთესო პრაქტიკა ასევე კლინიკური პრაქტიკის ის სფეროები, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებენ, ის მოითხოვს ეფექტურ დაგეგმვას და მომზადებას. დაგეგმვაზე პასუხისმგებელია გუნდის ხელმძღვანელი, რომელიც კლინიკურ აუდიტორებთან ერთად შეიმუშავებს კლინიკური აუდიტის განხორციელების გეგმას, ათანხმებს დამკვეთი ორგანიზაციის პროექტის ხელმძღვანელთან და უზრუნველყოს აუდიტის განხორციელებას გეგმის მიხედვით.

კლინიკური აუდიტის განხორციელების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- დავალება
- დავალების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი
- დავალების დაწყების და დასრულების თარიღები
- საბოლოო ჩასაბარებელი დოკუმენტი(ები)

მაგალითი

COVID-19 შემთხვევათა კლინიკური აუდიტის განხორციელების გეგმა

| დავალება                                                                                                                                                         | პასუხისმგებელი                        | სავარუდო დაწყების თარიღი | სავარუდო დასრულების თარიღი | საბოლოო დოკუმენტი                                                                    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------|--------------------------|----------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|
| ექსპერტთა გუნდის წევრებთან შეხვედრა, კლინიკური აუდიტის გეგმის შემუშავება, დავალებების გადანაწილება ექსპერტებს შორის და კლინიკური აუდიტის სახელმძღვანელოს გაცნობა | კლინიკური აუდიტის გუნდის ხელმძღვანელი |                          |                            | კლინიკური აუდიტის ჩასატარებლად მოსამზადებელი საკითხების ნუსხა პასუხისმგებელი პირებით |
| აუდიტის ჩატარება და ანგარიშგება                                                                                                                                  | ყველა კლინიკური აუდიტორი/ექსპერტი     |                          |                            | თითოეული შემთხვევის                                                                  |

|                                                                  |                                      |  |  |                                                                             |
|------------------------------------------------------------------|--------------------------------------|--|--|-----------------------------------------------------------------------------|
|                                                                  |                                      |  |  | კლინიკური აუდიტის<br>შეესებული ფორმა და<br>ანგარიში                         |
| კლინიკური აუდიტის საბოლოო<br>, შემჯამებული ანგარიშის<br>განხილვა | ყველა კლინიკური<br>აუდიტორი/ექსპერტი |  |  | წერილობითი<br>კომენტარები,<br>ზოგადი<br>რეკომენდაციები და<br>რეკომენდაციები |

## ეტაპი 2: კლინიკური აუდიტისთვის შემთხვევათა შერჩევის და კოდირების წესი

### კლინიკური აუდიტისთვის შემთხვევათა შერჩევის და კოდირების წესი

სამედიცინო დაწესებულების ნუსხას, სადაც უნდა ჩატარდეს კლინიკური აუდიტი შეიმუშავენს დამკვეთი ორგანიზაცია (მოცემულ შემთხვევაში სამინისტრო).

აჭარის რეგიონში COVID-19 შემთხვევათა მზარდი ტენდენციის გამო წინამდებარე კლინიკური აუდიტისთვის პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული COVID-19 შემთხვევების როგორც დასრულებული (გამოჯანმრთელებული ან ლეტალური შედეგით დასრულებული) ასევე მიმდინარე შემთხვევების აუდიტი. კლინიკური აუდიტი ჩატარდება სულ 4 სამედიცინო დაწესებულებაში, მათგან 2 კლინიკა ქ. ბათუმში და 2 კლინიკა ქ. ქობულეთში. კლინიკური აუდიტისთვის შესარჩევი COVID-19 შემთხვევების რაოდენობა განისაზღვრა სულ 30 შემთხვევით. მათგან 11 შემთხვევა იქნება დახურული, ხოლო 19 მიმდინარე შემთხვევა. თითოეულ დაწესებულებაში შესასწავლი შემთხვევათა რაოდენობა მოცემულია ცხრილი 1.

ცხრილი 2: სამედიცინო დაწესებულებები და შესარჩევ შემთხვევათა რაოდენობა

| #        | სამედიცინო<br>დაწესებულების<br>დასახელება               | რაიონი      | დახურულ<br>შემთხვევათა<br>რაოდენობა | მიმდინარე<br>შემთხვევათა<br>რაოდენობა | სულ<br>შემთხვევათა<br>რაოდენობა |
|----------|---------------------------------------------------------|-------------|-------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------|
| 1        | ბათუმის რესპუბლიკური<br>საავადმყოფო                     | ქ. ბათუმი   | 5                                   | 10                                    | 15                              |
| გუნდი #1 |                                                         |             |                                     |                                       |                                 |
| 2        | შპს "მედალფა" ბათუმის<br>კლინიკა                        | ქ. ბათუმი   | 3                                   | 4                                     | 7                               |
| 3        | ქობულეთის<br>ცენტრალური<br>საავადმყოფო                  | ქ. ქობულეთი | 2                                   | 3                                     | 5                               |
| 4        | სს "ევექსის<br>ჰოსპიტლები" -<br>ქობულეთის<br>ჰოსპიტალი- | ქ. ქობულეთი | 1                                   | 2                                     | 3                               |
| გუნდი #2 |                                                         |             |                                     |                                       |                                 |
|          | სულ                                                     |             | 11                                  | 19                                    | 30                              |

კლინიკური აუდიტს შერჩეულ დაწესებულებებში განახორციელებს 2 გუნდი.

**გუნდი #1** პასუხისმგებელი იქნება ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს 15 COVID-19 შემთხვევის კლინიკურ აუდიტზე, მაშინ როდესაც გუნდი #2 უზრუნველყოფს ჯამში 15 COVID-19 შემთხვევათა კლინიკურ აუდიტს 3 შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში ( შპს "მედალფა" ბათუმის კლინიკა, ქობულეთის ცენტრალური საავადმყოფო და სს "ევექსის ჰოსპიტლები" - ქობულეთის ჰოსპიტალი).

სამედიცინო დაწესებულებაში შესასწავლი შემთხვევების შერჩევა ხორციელდება გუნდის ხელმძღვანელისა და წევრების მიერ შემდეგი წესის გათვალისწინებით:

არსებობს შერჩევის ბევრი ტიპი, თუმცა ყველაზე ხშირად გამოიყენება შემთხვევების რანდომული ან ხელსაყრელი შერჩევა

**რანდომული შერჩევა** მოიცავს პაციენტების მოცემული რაოდენობიდან/შერჩევის ზომიდან შემთხვევების შერჩევითად არჩევას ე.წ. ლატარიის მეთოდით. ეს აძლევს ყველა პაციენტს თანაბარ შანსს, რომ მოხვდეს შერჩევაში.

რანდომული შერჩევისთვის, უნდა მომზადდეს ყველა განსახილველი შემთხვევის ჩამონათვალი დალაგებული ჰოსპიტალიზაციის თარიღის მიხედვით. ამისთვის:

1. მოსთხოვეთ კლინიკის ხელმძღვანელს ან უფლებამოსილ პირს წარმოგიდგინოთ:
  - i) ბოლო 3 თვის განმავლობაში (ივლისი - სექტემბერი) დახურული შემთხვევების სია
  - ii) კლინიკური აუდიტის დღისთვის COVID-19 დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ შემთხვევათა სია
2. განურჩევლად საბოლოო გამოსავლის, მოამზადეთ მოცემულ პერიოდში მხოლოდ მიმდინარე/ კრიტიკულად მიმდინარე ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რეესტრი როგორც დახურული ნასევე მიმდინარე შემთხვევებისთვის რეესტრი. რეესტრი ლაგდება ჰოსპიტალიზაციის თარიღის მიხედვით. იხილეთ რეესტრის მაგალითი ქვემოთ. რეესტრი მზადდება ცალკე დახურული შემთხვევებისთვის და ცალკე მიმდინარე შემთხვევებისთვის ინდენტური ფორმატის მიხედვით.

#### მაგალითი

#### დახურული კრიტიკული შემთხვევების რეესტრი

| #     | ჰოსპიტალიზაციის თარიღი | პაციენტის სახელი | ასაკი | მკურნალი ექიმი | გამოსავალი | საინდეფიკაციო კოდი          |
|-------|------------------------|------------------|-------|----------------|------------|-----------------------------|
| 1     | 2.07.2020              | პაციენტი 1       | 55    | ა.კ.           | გაეწერა    | ეს გრაფა ივსება მოგვიანებით |
| 2     | 10.07.2020             | პაციენტი 2       | 78    | ბ.მ            | ლეტალური   |                             |
| 3     | 25.09.2020             | პაციენტი 3       | 27    | თ.გ.           | მიმდინარე  |                             |
| n.... |                        | Etc.             | ...   | ...            | გაეწერა    |                             |

#### კრიტიკულად მიმდინარე დაავადება

1. მოზარდი ან ზრდასრული მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომით.
2. მოზარდი ან ზრდასრული სეფსისით
3. მოზარდი ან ზრდასრული სეპტიური შოკით
4. მოზარდი ან ზრდასრული სხვადასხვა გართულებით (მწვავე პულმონარული ემბოლია, მწვავე კორონარული სინდრომი, მწვავე ინსულტი და დელირიუმი).

3. დათვალეთ ასეთი შემთხვევების საერთო რაოდენობა თითოეულ რეესტრში და განსაზღვრეთ შერჩევის ინტერვალი ორივე ტიპის შემთხვევებისთვის. რანდომული შერჩევა მოიცავს შერჩევის ინტერვალის გამოანგარიშებას (K), რომელიც ანგარიშდება შემდეგნაირად: შემთხვევების ჯამური რაოდენობა (N) გაყოფილი შესარჩევი შემთხვევების რაოდენობაზე (I) და მიღებული ციფრი მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვზე.

#### მაგალითი

N - კრიტიკული COVID - 19 შემთხვევების მთლიანი რაოდენობა = 50  
I - შესარჩევი COVID - 19 კრიტიკული შემთხვევების მთლიანი რაოდენობა = 10  
K - შერჩევის ინტერვალი =  $50/10=5$

4. შერჩევის ინტერვალის განსაზღვრის შემდეგ რეესტრში ბრმად შეარჩიეთ ერთი შემთხვევა (როგორც მოცემულია ქვევით მაგალითში) და იმ შემთხვევიდან K= შერჩევის ინტერვალის გამოყენებით შეარჩიეთ მომდევნო შემთხვევები მანამ სანამ არ დაგროვდება საჭირო შემთხვევების რაოდენობა.

#### მაგალითი

##### რეესტრიდან შეირჩევა:

პირველი შემთხვევა - # 2 - ეს არის შემთხვევითად არჩეული შემთხვევა რეესტრში საიდანაც იწყება გადათვლა შერჩევის ინტერვალის გათვალისწინებით.

მეორე შემთხვევა - # 7

მესამე შემთხვევა - # 12

**ყოველი მე- 5 შემთხვევა** სანამ არ შეირჩევა ყველა შემთხვევა

5. შემთხვევათა შერჩევის დასრულების შემდეგ მოითხოვეთ ამ შემთხვევების სამედიცინო ბარათები.
6. რადგან სამედიცინო ბარათები მოიცავს პირად ინფორმაციას სამედიცინო დაწესებულებების, პაციენტის და მკურნალი ექიმების შესახებ, აუდიტორთა გუნდი ვალდებულია განუხრელად დაიცვას კონფიდენციალურობა. ამისთვის გუნდს მოეთხოვება შეიმუშაოს პაციენტების სამედიცინო ბარათების კოდირების რეესტრი. პაციენტის სამედიცინო ისტორიების/ შემთხვევების კოდირების რეესტრის შედგენამდე თითოეულ სამედიცინო დაწესებულებას, თითოეული პაციენტის ბარათს, სამედიცინო პერსონალს, რომელიც შეიძლება მონაწილეობას იღებდეს მკურნალობის პროცესში უნდა მიენიჭოს უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. არც ერთ ანგარიშში (მათ შორის შემთხვევის აუდიტის შეფასების ფორმაში) არ უნდა იყოს მითითებული მაინდეტიფიცირებელი ინფორმაცია.

#### i) სამედიცინო დაწესებულებების კოდები

| კოდი | სამედიცინო დაწესებულების დასახელება |
|------|-------------------------------------|
|------|-------------------------------------|

|    |                                                |
|----|------------------------------------------------|
| 01 | ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო               |
| 02 | შპს "მედალფა" ბათუმის კლინიკა                  |
| 03 | ქობულეთის ცენტრალური საავადმყოფო               |
| 04 | სს "ევექსის ჰოსპიტლები" - ქობულეთის ჰოსპიტალი- |

- ii) **სამედიცინო პერსონალის კოდირება:** მკურნალი ექიმის კოდირება ხორციელდება შერჩევითი ორნიშნა კოდის მინიჭებით. მიაქციეთ ყურადღება რომ ერთი და იგივე კოდი არ მიანიჭოთ სხვადასხვა ექიმს.

| ექიმის კოდი | მკურნალი ექიმის სახელი |
|-------------|------------------------|
| 01          | კ.ა                    |
| 06          | რ.გ                    |
| 11          | კ.კ                    |
| n....       | ა.შ.                   |

- iii) **შემთხვევების კოდირება:** შერჩეული შემთხვევების კოდის გენერირებისას მიყევით შემდეგ ნაბიჯებს:

1. პირველ რიგში მიუთითეთ კლინიკური აუდიტის თემა (**COVID-19**)
2. შემგომში დაწესებულების კოდი
3. გამოსავალი- D (გაწერილი), L (ლეტალური), C (მიდინარე)
4. შემთხვევის რიგითი ნომერი
5. მკურნალი ექიმის კოდი
6. და ბოლოს კლინიკური აუდიტის ჩატარების წელი

|                                            |              |
|--------------------------------------------|--------------|
| <b>მაგალითი</b>                            |              |
| <b>კონკრეტული შემთხვევის საბოლოო კოდი</b>  |              |
| კლინიკური აუდიტის თემა:                    | COVID-19     |
| სამედიცინო დაწესებულება                    | 01           |
| გამოსავალი:                                | D (გაწერილი) |
| პაციენტი:                                  | 3            |
| მკურნალი ექიმი:                            | 05           |
| წელი:                                      | 20           |
| <b>შემთხვევის კოდი: COVID/01/D/3/05/20</b> |              |

7. შემთხვევის საინდენტიფიკაციო კოდი შეიყვანეთ შერჩეული შემთხვევების რეესტრში და შეინახეთ საგულდაგულოდ კლინიკური აუდიტის განმავლობაში. ინდივიდუალური შემთხვევების ანგარიშების დასრულების შემდეგ, რეესტრი გადაეცით პროექტის ხელმძღვანელს.

**მაგალითი**

დაწესებულების კოდი 01

| # | ჰოსპიტალიზაციის<br>თარიღი | პაციენტის<br>სახელი | ასაკი | მკურნალი<br>ექიმი | მკურნალი<br>ექიმის<br>კოდი | გამოსავალი       | შემთხვევის<br>საინდეფიკაციო<br>კოდი |
|---|---------------------------|---------------------|-------|-------------------|----------------------------|------------------|-------------------------------------|
| 1 | 2.07.2020                 | პაციენტი 1          | 55    | კ.ა               | 01                         | გაეწერა (D)      | COVID/01/D/01/20                    |
| 2 | 10.07.2020                | პაციენტი 2          | 78    | რ.გ               | 06                         | ლეტალური<br>(L)  | COVID/01/L/06/20                    |
| 3 | 25.09.2020                | პაციენტი 3          | 27    | კ.კ               | 11                         | მიმდინარე<br>(C) | COVID/01/C/11/20                    |

### კლინიკური აუდიტის ჩატარება

თითოეული შერჩეული შემთხვევის სამედიცინო ბარათის აუდიტის დროს კლინიკური აუდიტორი/ექსპერტი ვალდებულია სრულად შეავსოს თანდართული შემთხვევის კლინიკური აუდიტის ფორმა. კლინიკური აუდიტის ფორმა მოიცავს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვის სახელმწიფო სტანდარტით (პროტოკოლით, რომელიც თავისთავად ეფუძნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ სტანდარტს)<sup>2</sup> გათვალისწინებულ კლინიკური მართვის 6 ელემენტს :

1. ანამნეზის შეგროვება
2. დაავადების მიმდინარეობის კლასიფიკაცია
3. მკურნალობა
4. კლინიკური სიმპტომების მონიტორინგი და მკურნალობის კორექტირება
5. რეფერალი
6. გაწერა

თითოეული კლინიკური მართვის ელემენტის შეფასება ხდება სათითოდ თანდართული კლინიკური აუდიტის ფორმის მიხედვით ([დანართი 1: კლინიკური აუდიტის ფორმა](#)). შეფასების შედეგი (შეფასების ქულა) თითოეული ელემენტისთვის მიეთითება შესაბამის გრაფაში. შეფასებისას, მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ გამოვლენილი სისუსტე ან კლინიკური სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნიდან გადახვევა შესაბამის „დასაბუთების /კომენტარის“ გრაფაში და დაასაბუთეთ მინიჭებული ქულა.

| ქულა | განმარტება                                                                                                                     |
|------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 3    | პრაქტიკა შეესაბამება ეროვნულ /საერთაშორისო სტანდარტებს, არ საჭიროებს გაუმჯობესებას ან საჭიროებს მხოლოდ მცირე გაუმჯობესებას     |
| 2    | პრაქტიკა არ შეესაბამება სტანდარტს, მაგრამ არ ქმნის პაციენტის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს და საჭიროებს გაუმჯობესებას |
| 1    | არასათანადო პრაქტიკა რომელმაც შესაძლოა შეუქმნას საფრთხე პაციენტის ჯანმრთელობას და საჭიროებს არსებით გაუმჯობესებას              |
| 0    | არასტანდარტული პრაქტიკა რომელის შედეგადაც საფრთხე შეექმნა პაციენტის ჯანმრთელობას                                               |

<sup>2</sup> [https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Protokoli\\_covid-19\\_-24.03.2020.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Protokoli_covid-19_-24.03.2020.pdf)

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კრიტერიუმი არ მიესადაგება ან არ არის რელევანტური კონკრეტული შემთხვევისთვის, შეფასების ნაცვლად ჩაწერეთ NA.

თითოეული კლინიკური მართვის ელემენტის შესაფასების დასრულებისას კლინიკური აუდიტორი ვალდებულია გამოთვალოს დაგროვილი ქულების რაოდენობა და განსაზღვროს საშუალო ქულა კლინიკური მართვის ელემენტისთვის.

კლინიკური მართვის ყველა ელემენტის შეფასების დასრულების შემდეგ, კლინიკური აუდიტორი ავსებს კლინიკური აუდიტის შედეგების ცხრილს და კონკრეტული შემთხვევისთვის გამოთვლის საშუალო ქულას.

**კლინიკური აუდიტის გუნდის თითოეული წევრი ვალდებულია განიხილოს ყველა შერჩეული შემთხვევა და ინდივიდუალურად შეაფასოს კლინიკური აუდიტის ფორმა.**

შერჩეული შემთხვევების აუდიტის დასრულებისთანავე გუნდი იკრიბება შედეგების შესაჯამებლად და კონკრეტული შემთხვევისთვის საერთო შეფასების მოსამზადებლად.

---

### **ეტაპი 3: კლინიკური აუდიტის მონაცემთა ანალიზი და ანგარიშგება**

---

მონაცემთა ანალიზის ძირითადი მიზანია შეგროვებული მონაცემების გარდაქმნა სასარგებლო ინფორმაციად, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ თუ რამდენად ხდება შეთანხმებული სტანდარტის დაცვა. კლინიკური აუდიტის მონაცემთა ანალიზი და ანგარიშგება მოიცავს ორ ნაბიჯს.

გუნდის ყველა წევრის მიერ ყველა შემთხვევის აუდიტის დასრულების შემდეგ გუნდის ხელმძღვანელი ვალდებულია შეაჯეროს აუდიტის შედეგები [დანართი 2: კონკრეტული შემთხვევის აუდიტის შედეგების შეჯამების ფორმა](#) მიხედვით.

შეფასების ქულების შეჯერება პირველ ეტაპზე ხდება კლინიკური მართვის თითოეული ელემენტისთვის ცალ-ცალკე. ამისთვის აუდიტორთა გუნდის ხელმძღვანელს შეაქვს თითოეული შემთხვევის აუდიტის შედეგები თანდართული ფორმაში ( [დანართი 2: კონკრეტული შემთხვევის აუდიტის შედეგების შეჯამების ფორმა](#)) და თითოეული სტანდარტისთვის და კრიტერიუმისთვის გამოთვლის შეფასების საშუალო ქულას. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე შემთხვევის შეფასების ქულა მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი შემთხვევების შეფასების ქულისგან (მაღალია ან დაბალი), სასურველია გუნდის ხელმძღვანელმა ეს კონკრეტული შემთხვევა განიხილოს შესაბამის აუდიტორთან, რათა დარწმუნდეს, რომ შეფასება ადეკვატურია. მონაცემთა აუდიტის შედეგების შეჯამების ფორმაში შეტანის შემდეგ, კლინიკური მართვის თითოეული ელემენტისთვის გამოითვლება საშუალო შეფასების ქულა.

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კრიტერიუმი არარელევანტურია, უნდა დაკორექტირდეს შესაბამისი ელემენტის მაქსიმალური შესაძლო ქულა. გაითვალისწინეთ, რომ შეფასების მაქსიმალური ქულა გამოითვლება შემდგენიარად:

ელემენტის მაქსიმალური შეფასების ქულა = 3

ელემენტების რაოდენობა = 4

კომპონენტის მაქსიმალური შეფასების ქულა =  $4 \times 3 = 12$

თუ მოცემული კომპონენტის 1 ელემენტი რელევანტური არ არის, მაშინ კომპონენტის მაქსიმალური შეფასების ქულა დაკორექტირდება შემდგენაირად

ელემენტის მაქსიმალური შეფასების ქულა = 3

ელემენტების რაოდენობა = 4

არა რელევანტური ელემენტების რაოდენობა = 1

დასათვლელი ელემენტების რაოდენობა = 3

კომპონენტის მაქსიმალური შეფასების ქულა =  $3 \cdot 3 = 9$

შემდეგ ეტაპს წარმოადგენს რეკომენდაციების ჩამოყალიბება. რეკომენდაციები უნდა ჩამოყალიბდეს: ა) კლინიკური მართვის გასაუმჯობესებლად და ბ) კლინიკური მართვის პროტოკოლის დასახვეწად.

ხელმოწერილი, შევსებული შემთხვევის კლინიკური აუდიტის ფორმა ეგზავნება კლინიკურ აუდიტორთა ხელმძღვანელს.

აუდიტის დასრულების შემდეგ კლინიკურ აუდიტორთა ჯგუფი ატარებს საერთო შეხვედრას კლინიკის ხელმძღვანელთან და თანამშრომლებთან და განიხილავს გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს, აძლევენ რჩევა დარიგებას კლინიკური მართვის გაუმჯობესების კუთხით.

დანართები:

დანართი 1: კლინიკური აუდიტის ფორმა

კლინიკური აუდიტის ფორმა

კლინიკური აუდიტის მონაცემები

|                                                    |                         |                             |
|----------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------|
| კლინიკური აუდიტის თარიღი:                          |                         |                             |
| კლინიკური აუდიტორის სახელი და გვარი:               |                         |                             |
| კლინიკური<br>აუდიტორის<br>საკონტაქტო<br>ინფორმაცია | ელ. ფოსტა:              |                             |
|                                                    | საკონტაქტო<br>ტელეფონი: | პირადი:<br>სამსახურეობრივი: |

კლინიკური შემთხვევის პასპორტი

|                                         |                                     |  |             |  |
|-----------------------------------------|-------------------------------------|--|-------------|--|
| პაციენტის ბარათის უნიკალური ნომერი      |                                     |  |             |  |
| პაციენტის სქესი                         | მდედრი                              |  | მამრი       |  |
| პაციენტის ასაკი                         |                                     |  |             |  |
| ჰოსპიტალიზაციის თარიღი                  | -----/-----/2020<br>დღე / თვე /წელი |  |             |  |
| საწყისი დიაგნოზი (ICD 10 მიხედვით)      |                                     |  |             |  |
| თანმხლები დაავადებები (ICD 10 მიხედვით) |                                     |  |             |  |
| საბოლოო დიაგნოზი (ICD 10 მიხედვით)      |                                     |  |             |  |
| გამოსავალი                              | გამოჯანმრთელდა                      |  | გარდაიცვალა |  |
| გაწერის თარიღი                          | -----/-----/2020<br>დღე / თვე /წელი |  |             |  |
| საწოლზე დაყოვნება (დღე)                 |                                     |  |             |  |
| რეჰოსპიტალიზაცია                        | დიახ                                |  | არა         |  |

| #   | კლინიკური მართვის ელემენტები/ მახასიათებლები                    |                                             | ქულა | დასაბუთება/კომენტარი |
|-----|-----------------------------------------------------------------|---------------------------------------------|------|----------------------|
| 1   | ანამნეზი                                                        |                                             |      |                      |
| 1.1 | კლინიკური<br>სიმპტომები<br>სრულყოფილად არის<br>იდენტიფიცირებული | ცხელება                                     |      |                      |
|     |                                                                 | ხველა                                       |      |                      |
|     |                                                                 | საერთო სისუსტე                              |      |                      |
|     |                                                                 | ანორექსია                                   |      |                      |
|     |                                                                 | სუნთქვის გაძნელება                          |      |                      |
|     |                                                                 | მიალგია, ართრალგია                          |      |                      |
|     |                                                                 | ყელის ტკივილი                               |      |                      |
|     |                                                                 | თავის ტკივილი                               |      |                      |
|     |                                                                 | დიარეა                                      |      |                      |
|     |                                                                 | გულის რევა, ღებინება                        |      |                      |
|     |                                                                 | მადის დაკარგვა                              |      |                      |
|     |                                                                 | ყნოსვის და გემოვნების დაქვეითება (დაკარგვა) |      |                      |
| 1.2 | რისკ ფაქტორები<br>იდენტიფიცირებული<br>ა                         | ასაკი >60 წელი                              |      |                      |
|     |                                                                 | მწეველი                                     |      |                      |
|     |                                                                 | დიაბეტი                                     |      |                      |
|     |                                                                 | ჰიპერტონული დაავადება                       |      |                      |
|     |                                                                 | ქრონიკული კარდიოლოგიური დაავადება           |      |                      |
|     |                                                                 | ქრონიკული ფილტვის დაავადება                 |      |                      |
|     |                                                                 | ცერებრო-ვასკულარული დაავადება               |      |                      |
|     |                                                                 | ქრონიკული თირკმლის დაავადება                |      |                      |
|     | ავთვისებიანი სიმსივნე                                           |                                             |      |                      |
|     | ანამნეზი: დაგროვებული ქულა = (X/6 (მაქსიმალური ქულა)            |                                             |      | _____                |

| #   | კლინიკური მართვის ელემენტები                                                   | ქულა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              | დასაბუთება/კომენტარი |
|-----|--------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|
| 2.  | დაავადების მიმდინარეობის კლასიფიკაცია                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                      |
| 2.1 | დაავადების მიმდინარეობა კლასიფიცირებულია ჯმო-ს სტანდარტული განმარტების თანხმად |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                      |
|     | საშუალო სიმძიმის: მსუბუქი პნევმონია                                            | მოზარდი ან ზრდასრული, რომელსაც აქვს პნევმონიის კლინიკური ნიშნები (ცხელება, ხველა, დისპნოე, სწრაფი სუნთქვა), მაგრამ არ აღინიშნება ძლიერი პნევმონიის ნიშნები, მათ შორის $SpO_2 \geq 90\%$ ოთახის პირობებში                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |                      |
|     | მძიმე: მძიმე პნევმონია                                                         | მოზარდი ან ზრდასრული, რომელსაც აქვს პნევმონიის კლინიკური ნიშნები (ცხელება, ხველა, დისპნოე, სწრაფი სუნთქვა); სუნთქვის სიხშირე $> 30$ სუნთქვა / წთ; მძიმე რესპირატორული დისტრესი; ან $SpO_2 < 90\%$ ოთახის პირობებში                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |                      |
|     | კრიტიკული: მწვავე რესპირატორული დისტრესის სინდრომი                             | <ul style="list-style-type: none"> <li>- დაწყება: კლინიკური გამოვლინებიდან, ახალი ან გაუარესებული რესპირაციული სიმპტომების გამოვლენიდან 1 კვირის განმავლობაში</li> <li>- გულმკერდის ვიზუალიზაცია (რენტგენოგრაფია, CT სკანირება, ან ფილტვის ულტრაბგერითი გამოკვლევა): ორმხრივი დაბინდვა, რასაც სრულად ვერ ავხსნით მოცულობის გადატვირთვით; გლობარული ან ფილტვის კოლაფსი ან კვანძები</li> <li>- პულმონარული ინფილტრატები</li> <li>- ოქსიგენაციის გაუარესება <ul style="list-style-type: none"> <li>- მრდს-ის მსუბუქი ფორმა: <math>200 \text{ mmHg} &lt; PaO_2/FiO_2 \leq 300 \text{ mmHg}</math> (PEEP-ით ან CPAP <math>\geq 5</math> სმ H<sub>2</sub>O, ან არავენტილირებული)</li> <li>- ზომიერი მრდს: <math>100 \text{ mmHg} &lt; PaO_2/FiO_2 \leq 200 \text{ mmHg}</math> (PEEP <math>\geq 5</math> სმ H<sub>2</sub>O-ით, ან არა-ვენტილირებული)</li> <li>- მძიმე მრდს: <math>PaO_2/FiO_2 \leq 100 \text{ mmHg}</math> (PEEP <math>\geq 5</math> სმ H<sub>2</sub>O-ით, ან არა-ვენტილირებული)</li> </ul> </li> </ul> |                      |

| # | კლინიკური მართვის ელემენტები                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           | ქულა | დასაბუთება/კომენტარი |
|---|------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|----------------------|
|   | კრიტიკული:<br>სეფსისით<br>მიმდინარე                        | სიცოცხლისათვის საშიში ორგანული დისფუნქცია, რომელიც გამოწვეულია შესაძლო ან დადასტურებულ ინფექციაზე მასპინძლის არარეგულირებადი პასუხით.<br>ორგანოს დისფუნქციის ნიშნები: შეცვლილი ფსიქიკური სტატუსი, გამწვანებული ან გახშირებული სუნთქვა, ჟანგბადით დაბალი სატურაცია, შარდის გამოყოფის შემცირება, გახშირებული გულისცემა, სუსტი პულსი, ცივი კიდურები ან დაბალი არტერიული წნევა, კანის ლაქოვანი დაზიანება (აჭრელება), ან კოაგულოპათიის, თრომბოციტოპენიის, აციდოზის, ლაქტატის მაღალი დონე ან ჰიპერბილირუბინემია |      |                      |
|   | კრიტიკული:<br>სეპტიური შოკი                                | პერსისტული ჰიპოტენზია ადექვატური რეანიმაციის/თერაპიის მიუხედავად, რომელიც საჭიროებს ვაზოპრესორების გამოყენებას MAP ≥ 65 mmHg-ის შენარჩუნებისთვის და შრატში ლაქტატის დონე > 2 მმოლ/ლ                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |      |                      |
|   | კლასიფიკაცია : დაგროვებული ქულა = (X/3 (მაქსიმალური ქულა)) |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |      | _____                |

| #   | კლინიკური მართვის ელემენტები                                                                                            | ქულა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     | დასაბუთება/კომენტარი |
|-----|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|
| 3   | მკურნალობა <sup>3</sup>                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |                      |
| 3.1 | დაავადების მკურნალობა ჩატარებულია მიმდინარეობის სიმძიმის და შესაბამისი სტანდარტით დადგენილი მკურნალობის სქემის მიხედვით |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |                      |
